ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №89

ქ. დმანისი **2023 წელი**

ერთის მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნემო" წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი ხატელაშვილის (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წყლის ტუმპოს შესყიდვა თავისი ნაწილებით (**თანდართული ინვოისის შესაბამისად**); (cpv-42122130;)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5784(ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდაოთხი) ლარს. (დღგ-ს ჩათვლით)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის მოცულობა;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის საკითხებში - ვიქტორი ქრისტესიაშვილი.**

6. საქონლის მიწოდების ვადა და საგარანტიო პერიოდი

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) კალენდარული დღე.

6.2. საქონლის მიწოდების ადგილია: დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი გომარეთი

6.3. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია, ექსპლუატაციაში შესვლიდან ერთი წელი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობის. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის საკითხებში - ვიქტორი ქრისტესიაშვილი.**

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3 საქონლის მიღებისას დაფიქსირებული ხარვეზის ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში საქონლის შეცვლას უზრუნველყოფს მიმოწდებელი. ყველა სხვა შემთხვევაზე ვრცელდება მიმწოდებლის საგარანტიო პირობები.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2.თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. 3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

14.რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	შპს „ნემო“ ს/კ 406334006 მის: თბილისი დიდუბე ჩუღურეთი ხოშარაულის ,ელიავას .მტკ.მარც.სანაპირო ტელ: (+995) 591410137 ელ-ფოსტა: nnemo0021@gmail.com საბანკო რეკვიზიები: ს.ს „თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE20TB7927636080100011
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი	**შპს „ნემო“-ს დირექტორი**
DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2023.05.10 10:51:50 +04'00' ---------- **კობა მურადაშვილი**	Giorgi Khatelashvili Digitally signed by Giorgi Khatelashvili Date: 2023.05.10 11:17:58 +04'00' ---------- **გიორგი ხატელაშვილი**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2023 წლის №89 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი ---------- კობა მურადაშვილი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საპროექტო
დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის
საკითხებში ---------- ვიქტორი ქრისტესიაშვილი.

Viktori Kristesiashvili

Digitally signed by Viktori Kristesiashvili
Date: 2023.05.10 15:25:22 +04'00'

ინვოისი

შპს „ნემო“ **ს/კ 406334006** **მის: თბილისი დიდუბე ჩუღურეთი ხოშარაულის ,ელიავას .მტკ.მარც.სანაპირო** **ტელ: (+995) 591410137** **ელ-ფოსტა: nnemo0021@gmail.com** **საბანკო რეკვიზიები: ს.ს „თიბისი ბანკი”** **ბანკის კოდი: TBCBGE22** **ანგარიშის ნომერი: GE20TB7927636080100011**				
საქონლის დასახელება	**საზომი ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**სულ თანხა**
SCHPINDEL წყლის ტუმბო 4KW-230 მეტრზე 3 ტონა წყალი (დამხმარე მასალებთან ერთად, მონტაჟით)	ცალი	1	5784	5784
			ჯამი:	5784

დირექტორი: გიორგი ხატელაშვილი